საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/92

ქ. ბათუმი 20 აპრილი, 2022წ

„2022 წლის ივნისში ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 23 მარტის N01-02/70 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 18 აპრილის MES 6 22 0000401246 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2022 წლის ივნისში ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 23 მარტის N01-02/70 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბსუ-ს სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება ბსუ-ს პორტალზე (პორტალის მოდულში ,,კარიერული ოფისი“ რეგისტრაცია ელექტრონულად) – **2022 წლის 30 მარტიდან - 2022 წლის 29 აპრილამდე;“.**

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე გავრცელდეს ბსუ-ს პორტალის და სოციალური ქსელის მეშვეობით.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**